თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

№2

ქ. ქუთაისი 06 ივნისი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში (ქუჩები, ჩიხები, ბინების წინა ეზოები) გარე განათების სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (194 ობიექტი) შესახებ (საკონკურსო განცხადების №499. 31.05.2012).

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ლევან ჭანჭალეიშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა 4 (ოთხი) კონკურსანტმა: **1.** ინდ. მეწარმე „ფატიმა ბერაია"-მ, **2.** შ.პ.ს „დეველოპერული კომპანია პროქსიმა +"-მ, **3.** შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრმა" და **4.** შ.პ.ს ,,კომუნმშენპროეტი-2006"-მა.

ამის შემდეგ დალუქული კონვერტები გაიხსნა კონკურსანტების თანდასწრებით და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი.

1. ინდ. მეწარმე „ფატიმა ბერაია" – 8500 (რვაათასხუთასი) ლარი დღგ-ს გარეშე.
2. შ.პ.ს „დეველოპერული კომპანია პროქსიმა +" – 15000 (თხუთმეტიათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
3. შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"- 10670 (ათიათასექვსასსამოცდაათი) დღგ-ს გარეშე.
4. შ.პ.ს ,,კომუნმშენპროეტი-2006" – 15800 (თხუთმეტიათას-რვაასი)ლარი დღგ-ს ჩათვლით.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2012 წლის 06 ივნისის 12:30 საათამდე პერიოდით.

საკონკურსო კომისიამ განიხილა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები.

ინდ. მეწარმე „ფატიმა ბერაია"–ს, შ.პ.ს „დეველოპერული კომპანია პროქსიმა +"-ს და შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

შ.პ.ს „კომუნმშენპროექტი-2006"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს. კერძოდ, კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი, რომლის მითითების აუცილებლობა გათვალისწინებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით და ქალაქ ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის განცხადების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა. კომისიის წევრებმა: ვასილ მებურიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს: „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესი"-ს დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე საკონკურსო კომისიამ მოახდინა შ.პ.ს „კომუნმშენპროექტი-2006"-ს დისკვალიფიკაცია.

ამის შემდეგ განხორციელდა დანარჩენი კონკურსანტების შეფასება.

1. ინდ. მეწარმე „ფატიმა ბერაია" - მიიღო 29,7 ქულა.
2. შ.პ.ს „დეველოპერული კომპანია პროქსიმა +" – მიიღო 27,6 ქულა.
3. შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"- მიიღო 26,4 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა; კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს: 1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში (ქუჩები, ჩიხები, ბინების წინა ეზოები) გარე განათების სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (194 ობიექტი) სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ინდ. მეწარმე „ფატიმა ბერაია".

2. ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა (ლევან ჭანჭალეიშვილი) გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა" და ,,მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე